პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №

ქ. წყალტუბო

აგვისტო 2024 წელი

2024 წლის 26 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაცია) ჩატარებისათვის შენობა - ნაგებობების ნუსხის განსაზღვრის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს 45-ე მუხლის მე–9 ნაწილის, საქართველოს ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 61-ე მუხლისა და საქართველოს პრეზიდენტის 2024 წლის 27 აგვისტოს №27/08/02 განკარგულების საფუძველზე:

1. განისაზღვროს 2024 წლის 26 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაცია) ჩატარებისათვის შენობა - ნაგებობების ნუსხა დანართის №1 შესაბამისად.

2. დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოებს გადასცეს 2024 წლის 26 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაცია) ჩატარებისათვის განსაზღვრული შენობა-ნაგებობების ნუსხა №58 წყალტუბოს საოლქო საარჩევნო კომისიას.

3. ამ განკარგულების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიისათვის (აგიტაცია) შენობა - ნაგებობების ნუსხის განსაზღვრის შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 10 აგვისტოს № 58 განკარგულება.

4. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მოამზადა: ნ. მჟავია

შეთანხმებულია: გ. ყურაშვილი

გ. კვასტიანი

ვ. ნადარეიშვილი

დანართი №1

2024 წლის 26 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაცია) ჩატარებისათვის განსაზღვრული შენობა - ნაგებობების ნუსხა

- საკონცერტო დარბაზი „ივერია“ - ქალაქი წყალტუბო (პარკის ტერიტორია);
- კლუბის შენობა - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ საყულიაში;
- კლუბის შენობა - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვილიშორში.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-482424258**
თარიღი: **29/08/2024**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ. N27

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 45-ე და 46- ე მუხლებისა და საქართველოს პრეზიდენტის 2024 წლის 27 აგვისტოს №27/08/02 განკარგულების შესაბამისად, გიგზავნით, ,,2024 წლის 26 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალის განთავსების რეგულირების შესახებ” და ,,2024 წლის 26 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაცია) ჩატარებისათვის შენობა - ნაგებობების ნუსხის განსაზღვრის შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებების პროექტებს.

გთხოვთ, განიხილოთ.

დანართი ,,10“ ფურცლად.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge